

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ღამის თავართების შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი		მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის წორმების ცოდნა	19		20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19		20
წერის უნარი	19		20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14		15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14		15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2		5
პროფესიული აქტივობა	2		5
ქულათა ჯამი	89		100

ლევანი თევზაძე



თარიღი:

14.04.2017



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

14 აპრილი, 2025 წელი

თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ლაშა თავართქილაძის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ლაშა თავართქილაძე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გაფუცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის
მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2025 წლის 6 მარტს, ჩატარდა
კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით,
კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შევაფასე - „საერთო
სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-
17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ
მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 44 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან
გათანაბრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). სპეციალობით მუშაობს 23
წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ, თითქმის 11 წელია. კერძოდ:

- 2002-2006 წლები - კონსულტანტი, ქობულეთის რაიონის სანოტარო ბიურო;
- 2007 წლის იანვარი - 2007 წლის ნოემბერი - მთავარი სპეციალისტი, საქართველოს
უზენაესი სასამართლო;
- 2007-2012 წლები - მოსამართლის თანამემწე, თბილისის სააპელაციო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- 2012-2013 წლები - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;
- 2013-2014 წლები - სამოქალაქო საქმეთა პალატის სამდივნოს კონსულტანტი,
საქართველოს უზენაესი სასამართლო.
- 2014 წლის 27 მაისი - 2018 წლის 18 იანვარი - ქობულეთის მუნიციპალიტეტი,
ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე (2014 წლის 9
ივნისიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ბათუმის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში);
- 2018 წლის 18 იანვარი - 2019 წლის 18 სექტემბერი - თბილისი საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;
- 2019 წლის 18 სექტემბერი - 2022 წლის 21 მარტი - თბილისი სააპელაციო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე;

- 2022 წლის 21 მარტიდან - დღემდე - თბილისი საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ლაშა თავართქილაძის შესახებ ინტერნეტ-სიცრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი მოსამართლის თანამდებობაზე უვალოდ განწესების და მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. ოგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდაჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგრამარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეთ იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ლაშა თავართქილაძის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართლდარღვევის ერთი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო შენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოქმნა დავებში კანდიდატ ლაშა თავართქილაძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე საქმისწარმოების ელექტრონული სამიებო სისტემის მეშვეობით მოძიებული იქნა ერთი ადმინისტრაციული საქმე: საჩივრის ავტორი - ლაშა თავართქილაძე; მოპასუხე მხარე - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; შედევი - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი დაკავშირდილდა.

კანდიდატი სისხლის სამართლის საქმეზე ცნობილია დაზარალებულად 2018 წლის 29 ივნისს (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილით). კანდიდატის მიმართ დისციპლინური სასართალწარმოება არ განხორციელებულა.

ლაშა თავართქილამებეს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 84.3% შემთხვევაში, საქმეთა 68.2% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩიფრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 88.1% შემთხვევაში.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ ოთხ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები.

კანდიდატი მონაწილეობდა რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: 2022 წლის 29 ივლისი - 1 აგვისტო, ბათუმი, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სემინარი - „ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის საკითხები“; 2022 წლის 11-12 ნოემბერი, ქ. ბორჯომი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU), ევროკავშირის საერთო სასამართლოსა (GCEU) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების საპელაციო საბჭოს (EUIPO BOA) გადაწყვეტილებების საფუძველზე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ შედგენილი კრებულის პრეზენტაცია; 2022 წლის 1 და 3 დეკემბერი, თბილისი, „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის“ (BRIPA) მიერ გადახდისუნარობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ახალი გადახდისუუნარობის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრა; 2023 წლის 11-12 თებერვალი, ყვარელი, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით ერთობლივად გამართული სამუშაო შეხვედრა - „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესთან დაკავშირებით“; 2023 წლის 14-16 ივლისი, კახეთი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის“ (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლუბრივი ურთიერთობების - დაცვების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები“; 2024 წლის 30 ნოემბერი - 01 დეკემბერი, თბილისი, გაერთს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) ტრუნინგი - „ლტოლვილთა სამართალი“).

ლაშა თავართქილამებები 2002 წელს გაიარა მოსამართლის თანაშემწის საქოვიანი კურსი და 2003 წელს ჩააბარა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა; 2003 წელს ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა; 2006 წელს ჩააბარა ნოტარიუსობის საკვალიფიკაციო გამოცდა; 2006 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით; 2007 წელს ჩააბარა

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

საჯარო მოსმენისას ლაშა თავართქილამეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსკვეს როგორც ზოგადი, იხე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები უმეტესწილად იყო თანმიმდევრული, არყუმენტირებული და დასაბუთებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა, დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ე) ფინანსური ვალდებულება - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის აშ პრეზუმაციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს“, როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. გარდა ამისა, „კანონის“ 35¹ მუხლის მე 2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლაციის შევსებისას, ზანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო

მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას), სიმართლისმოყვარეობა და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმეციას, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ამ კომიონენტს, არ გამაჩნია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის ურინცილული, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, არის სამართლიანი, ამასთან არ ავლენს პოლიტიკური ან სხვა ნიშნით რაიმე სახის მიკერძოებულობას.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის გაწონასწორებული, თავაზიანი, ტაქტიანი, კომუნიკაბელური და თავდაჯერებული, არ ექცევა სხვების გავლენის ქვეშ, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქვევა და იმიჯი. ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქვევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქვევის“ მახასიათებელს.

კანდიდატი როგორც კოლეგებში, ასევე საზოგადოებაში სარგებლობს საუკეთესო რეპუტაციით და დიდი პატივისცემით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს, შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მასასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილადე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შეფასება დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, შრომის სამართლის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20);

კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი ნორმის მართებულად განმარტების უნარი, შეუძლია წათლად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, შეუსაბამოს იგი დადგენილ ფაქტებს და მიიღოს საფუძვლიანი გადაწყვეტილება შინაგანი რწმენით. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ ოთხ სამოქალაქო სამართლის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომელთა გაანალიზებით დგინდება, რომ კანდიდატი ხანდახან იყენებს როგორ წინადადებებს, რაც გადმოცემული აზრის სათანადოდ აღქმას ამსწერებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატის მიერ წარმოადგენილი გადაწყვეტილებების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია,

მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ შესწავლის დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შერის „უნარის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატს ნათლად და გასაგებად შეუძლია საკუთარი მოსაზრებების გადმოცემა, აქვს სამართლებრივი ლექსიკის აღყვატურად გამოყენების უნარი, შეუძლია ლოგიკურად მსჯელობა და აზრის გასაგებად და დამაჯერებლად გადმოცემა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატს გააჩნია სამუშაო განრიგის ეფექტიანი დაგეგმვის, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი, შეუძლია საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, დროისა და რესურსის სწორად გადანაწილება; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, გააჩნია პროცესის ეფექტიანი მართვის, სასამართლო სხდომის მომზადებულად, კორექტულად და თვითდაჯერებულად წარმართვის უნარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატს გააჩნია სიახლის მიძართ ინტერესი და ღიაობა, აქვს თვითგანვითარების ინტერესი და შესწევს ამის უნარიც. მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებში და მიღებულ ცოდნას თუ გამოცდილებას იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. არ ეწყვა საშეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

კანდიდატს აქვს უნარი წამოაყენოს იდეები და წინადადებები კონკრეტულ საკითხთან თუ სიახლესთან დაკავშირებით, მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც ღიად და

თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პონიციას და შეხედულებებს. არ ეწევა
პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარეშემოქმედის გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი,
ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული
პროფესიული აქტივობის „მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 2 ქულით
(მაქსიმალური 5 ქულა)“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტულობის კრიტერიუმის მიხედვით,
საერთო ჯამში, კანდიდატ ლაშა თავართექილაძეს ვანიშებ 39 ქულას.

ლევანი თევზაძე